ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარეებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 26 ივნისი, 1942 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 26 (237). ფასი 30 კაპ.

თავისუფლებისმოყვარე ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა

18 ივნისი საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ისტორიაში დაუვიწყარ თარიღად დარჩება. ამ დღეს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მოიწონა საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკა და მოახდინა ინგლის-საბჭოთა კავშირის მოკავშირეობის ხელშეკრულების რატიფიკაცია.

ამ საკითხზე სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მოხსენებით წარუდგა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. **ვ. მ. მოლოტოვი,** რომელმაც მრცალად გააშუქა ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების და ამერიკის შეერთებულ შტატებთან დადებულ შეთანხმების მნიშვნელობა.

„ხელშეკრულება და შეთანხმება, — სთქვა ამხ. **მოლოტოვმა,** — რომელიც როგორც საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის, ისე საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მიღწეულია ახლანდელი ომის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს საკითხებსა და ომის შემდეგ ერთობლივი მუშაობის საკითხზე, იმას ნიშნავს, რომ განმტკიცდა საბრძოლო თანამეგობრობა ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხებისა, რომელთაც დღეს სათავეში უდგანან საბჭოთა კავშირი, ინგლისი და შეერთებული შტატები“.

ეს ორი აქტი სახავს არა მარტო იმ ღონისძიებებს, რომელნიც სამმა დიდმა მოკავშირემ უნდა განახორციელოს სისხლიანი აგრესორის — ჰიტლერული გერმანიის დასამარცხებლად და გასანადგურებლად 1942 წელს, არამედ იმ ღონისძიებებსაც, რომლებმაც ომის შემდეგ უნდა უზრუნველჰყონ ევროპის უშიშროება და ეკონომიური თანამშრომლობა.

საბჭოთა კავშირ-დიდი ბრიტანეთის ხელშეკრულებაში ორივე მხარე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არ მივისწრაფვით ტერიტორიების შეძენისაკენ, არ ჩავერევით სხვა სახელმწიფოების შინაურ საქმეებში და ვაღიარებთ ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის მიმართ ჩვენი პოლიტიკის მეგობრულ პრინციპებს, ამასთან ორივე მთავრობა მივისწრაფით გავვერთიანდეთ სხვა თანამოაზრე სახელმწიფოებთან, რომ ომის დამთავრების შემდეგ შეუძლებელი გახდეს აგრესიის განმეორება და მშვიდობიანობის დარღვევა გერმანიის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს მხრივ, რომელიც ამ უკანასკნელთან დაკავშირებულია ევროპაში აგრესიის აქტებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ხანგრძლივი მქუხარე ტაშით შეხვდა ამხ. **ვ. მ. მოლოტოვს** მოხსენების იმ ადგილს, სადაც ნათქვამია: „მოლაპარაკების დროს მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება ევროპაში 1942 წელს მეორე ფრონტის შექმნის გადაუდებელი ამოცანების შესახებ... ევროპაში მეორე ფრონტის შექმნა გადაულახავ სიძნელეებს შეუქმნის ჰიტლერის არმიებს ჩვენს ფრონტზე... ჩვენი საერთო მტერი მალე იგრძნობს თავის ზურგზე სამი დიდი სახელმწიფოს სულ უფრო და უფრო ზრდადი საომარი თანამშრომლობის შედეგებს“.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს ამ ისტორიულ სხდომაზე გამოსულმა დეპუტატებმა სავსებით და ერთსულოვნად გაიზიარეს ამ ორი ღირსშესანიშნავი აქტის ის შეფასება, რომელიც მას ამხ. **ვ. მ. მოლოტოვმა** მისცა. მოსკოვისა და ლენინგრადის, უკრაინისა და ბელორუსიის, საქართველოსა და ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის, უზბეკეთისა და ურალის დეპუტატებმა სსრ კავშირში შემავალი თავიანთი ხალხების სახელით დაადასტურეს საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის ბრწყინვალე გამარჯვების მომასწავებელი ეს ორი აქტი და გამოსთქვეს მტკიცე და ურყევი გადაწყვეტილება — ხელი შეუწყონ ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას, იბრძოლონ მანამდე, სანამ უკანასკნელი გერმანელი ფაშისტი ოკუპანტი აღგვილი არ იქნება ჩვენი მიწა-წყლიდან. ყველა დეპუტატი შეუერთდა ამხ. **მოლოტოვის** განცხადებას, რომ „მეგობრობა და კავშირი საბჭოთა კავშირსა, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მტკიცდება და სულ უფრო და უფრო მჭიდრო ხდება. ამაში ჩვენ ვხედავთ წითელი არმიის ძალისა და იმ წარმატებათა საერთაშორისო აღიარებას, რომლებიც მან მოიპოვა ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხთა დაუძინებელი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჰიტლერისა და მისი პირსისხლიანი დამქაშების წინააღმდეგ ბრძოლაში“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომა, რომელმაც ინგლის-საბჭოთა კავშირის მოკავშირეობის ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა, შესდგა დიდი სამამულო ომის ერთი წლისთავზე. ბუნებრივია, თუ დეპუტატები აჯამებდნენ და შესაფერ დასკვნებს უკეთებდნენ პირსისხლიან ჰიტლერთან საბჭოთა ხალხის ერთი წლის სამკვდრო-სასიცოცხლო ომის შედეგებს. ომის ერთმა წელიწადმა ნათელჰყო, რომ სავსებით განიავდა ჰიტლერის ავანტიურისტული ხროვის გიჟური ვარაუდები.

„საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ერთი წლის საომარმა მოქმედებამ გამოააშკარავა, რომ სავსებით ჩაფშალა გერმანიის იმპერიალიზმის პოლიტიკური გეგმები — სსრ კავშირის სამხედრო პოლიტიკური იზოლიაციის და საბჭოთა ზურგის მერყეობაზე იმედის დამყარების გეგმები. ომის ერთი წლის შედეგად განმტკიცდა სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საბრძოლო მეგობრობა, განმტკიცდა წითელი არმიის ზურგი, განმტკიცდა სსრ კავშირის მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის კავშირი, განმტკიცდა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა“ (საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობიდან: „სამამულო ომის ერთი წლის პოლიტიკური და სამხედრო შედეგები“).

ასევე უნიადაგო გამოდგა ფაშისტური გერმანიის სამხედრო-სტრატეგიული გეგმები. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ომის ერთმა წელმა გამოააშკარავა, თუ რამდენად საფუძველმოკლებული იყო ფაშისტების წარმოდგენა წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხის შესაძლებლობაზე. ჩვენმა სახელოვანმა არმიამ დაასამარა გერმანელ ფაშისტთა ავანტიურისტული სამხედრო გეგმები, გადააკვა ჩვენი სამშობლოს თვალუწვდენი ველები რამდენიმე მილიონ ჰიტლერელი ავაზაკის სამარედ. „წითელი არმია, რომელიც მტკიცდება, ურყევი საბჭოთა ზურგი და ჩვენი მოკავშირეების ზრდადი სამხედრო დახმარება გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ყველა და ყოველგვარ გეგმას დაამსხვრევს. ჩვენი ძალები მტკიცდება, ჩვენი რწმენა გამარჯვებისადმი ძლიერია ისე, როგორც არასოდეს არა ყოფილა“ (მოლოტოვი).

მაგრამ, როგორც მართებულად სწერს „პრავდა“, სამამულო ომის ერთი წლისთავისადმი მიძღვნილ მოწინავე წერილში, გამარჯვება თავისთავად არ მოვა, რომ იგი მედგარი და სისხლისმღვრელი ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ: „მტერი ჯერ კიდევ ძლიერია და იმის შიში, რომ მას უცილობლად აზღვევინებენ ჩადენილ ბოროტმოქმედებას, ახალ-ახალ საშინელ ავანტიურას ჩაადენინებს მას. გამარჯვებისაკენ მიმავალი გზა ეკლიანია, ჩვენ ახალ-ახალი მსხვერპლი, ახალ-ახალი გაჭირვება, ახალ-ახალი სიძნელე მოგველის ამ გზაზე“. სწორედ ამიტომ უნდა ვიყოთ მზად ყოველი მსხვერპლისათვის, უნდა დავაბოთ მთელი ჩვენი ენერგია, მთელი ჩვენი შესაძლებლობა და მივცეთ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს არმიას, ჩვენს ფრონტს ყველაფერი, რის მიცემაც კი შეგვიძლიან. აქეთკენ მოგვიწოდებს თავდაცვის სახალხო კომისრის, დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** საპირველმაისო ბრძანება, აქეთკენ მოგვიწოდეს საბჭოთა ხალხის დიადი სამამულო ომის ერთი წლისთავზე წალხის რჩეულმა შვილებმა — დეპუტატებმა უმაღლეს საბჭოს მაღალი ტრიბუნიდან.

ლიტერატურული საღამო ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში

20 ივნისს ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში მოეწყო დიდი ლიტერატურული საღამო-შეხვედრა მწერლებისა და თბილისის საწარმოების სტახანოველებისა.

საღამო გახსნა ამხ. ს. წვერავამ.

მოხსენება თემაზე: „ქართული საბჭოთა მწერლობა დიდი სამამულო ომის დღეებში“ წაიკითხა ამხ. შ. ნადიანმა.

შემდეგ თავიანთი ნაწარმოებები წაიკითხეს პოეტებმა ს. ეულმა, ს. ჩიქოვანმა, კ. კალაძემ, ი. გრიშაშვილმა.

დამსწრენი აღფრთოვანებით შეხვდნენ პოეტების გამოსვლას და სამამულო ომისადმი მიძღვნილ მათ ნაწარმოებებს.

საღამო მეტად შინაარსიანად ჩატარდა.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1942 წლის 18 ივნისის სხდომის შესახებ

18 ივნისს, საღამოს 6 საათზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში, კრემლში, შესდგა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომა.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის—ამხანაგ **ი. ბ. სტალინის,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებისა და სსრ კავშირის მთავრობის წევრების ლოჟებში გამოჩენას დამსწრენი მიესალმებიან მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით, მისასალმებელი შეძახილებით სსრ კავშირის ხალხთა დიადი ძმური თანამეგობრობის, გმირი წითელი არმიის პატივსაცემად, საბჭოთა მთავრობის მგთაურის, თავდაცვის სახალხო კომისრის—ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად.

თავმჯდომარის მაგიდასთან არიან: კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ა. ანდრეევი, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. მ. შვერნიკი და მათი მოადგილენი—ამხ. ტ. დ. ლისენკო, უ. იუსუფოვი, ჩ. ასლანოვა, მ. ვ. კულაგინი.

თავმჯდომარეობს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ა. ა. ანდრეევი.**

დღის წესრიგშია რატიფიკაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და დიდი ბრიტანეთის შეერთებული სამეფოს ხელშეკრულებისა ჰიტლერის გერმანიისა და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში მოკავშირეობის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე.

ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხანაგი **ვ. მ. მოლოტოვი,** რომელსაც ხანგრძლივი, მქუხარე ოვაციით შეხვდნენ.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის—ამხ. **ვ. მ. მოლოტოვის** მოხსენება არაერთხელ იქნა შეწყვეტილი ხანგრძლივი ტაშით, რომელიც ოვაციაში გადადიოდა და რომელიც გამოხატავდა საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის მოწონებას და რწმენას, რომ დიდი დემოკრატიული სახელმწიფოების საბრძოლო კავშირი გაიმარჯვებს ჰიტლერის გერმანიაზე.

ამხანაგ მოლოტოვის გამოსვლის შემდეგ დაიწყო კამათი. კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: **პ. კ. პონომარენკო** (ბელორუსიის სსრ), **ა. ს. შჩერბაკოვი** (მოსკოვი), **ლ. რ. კორნიეცი** (უკრაინის სსრ), **ა. ა. ჟდანოვი** (ლენინგრადი), **ი. ი. პალეცკისი** (ლიტვის სსრ), **ნ. ს. პატოლიჩევი** (ჩელიაბინსკის ოლქი), **გ. თ. სტურუა** (საქართველოს სსრ), **ვ. ტ. ლაცისი** (ლატვიის სსრ), **უ. იუსუფოვი** (უზბეკეთის სსრ), **ი. ი. ვარესი** (ესტონეთის სსრ).

ვინაიდან რაიმე საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოთქმულა, ამხ. მოლოტოვმა საბოლოო სიტყვაზე უარი სთქვა.

დეპუტატ **პ. კ. პონომარენკოს** წინადადებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო, პალატობრივ ცალ-ცალკე ხმის მიცემით იღებს შემდეგ დადგენილებას:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო, მოისმინა რა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის—ამხანაგ **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვის** მოხსენება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და დიდი ბრიტანეთის შეერთებული სამეფოს შორის ჰიტლერის გერმანიისა და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში მოკავშირეობის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე ხელშეკრულების დადების შესახებ და მთავრობის წინადადება ხელშეკრულების რატიფიკაციის თაობაზე, **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნას მთავრობის საგარეო პოლიტიკა.

2. რატიფიცირებულ იქნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის და დიდი ბრიტანეთის შეერთებული სამეფოს ხელშეკრულება ჰიტლერის გერმანიისა და ევროპაში მის თანამონაწილეთა წინააღმდეგ ომში მოკავშირეობის შესახებ და ომის შემდეგ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე, დადებული ქალ. ლონდონში 1942 წლის 26 მაისს“.

ამით დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომა.

კონკურსი მასობრივ სიმღერაზე

საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირმა გამოაცხადა კონკურსი ქართული მასობრივი სიმღერებისა და ქართული სამხედრო მარშის შექმნაზე.

სიმღერა უნდა დაიწეროს ქართულ ტექსტზე, შეიძლება იყოს ორ ან სამ ხმიანი, აკომპანიმენტიანი და უაკომპანიმენტო. სიმღერა საბრძოლო განწყობილებას უნდა შეიცავდეს და ფაშისტურ ხროვაზე საბოლოო გამარჯვების იდეით უნდა იყოს გაჟღენთილი. სიმღერას უნდა ახასიათებდეს მელოდიურობა, ჰარმონიული ენა და რიტმიული დახვეწილობა.

სამხედრო მარში სამწყობრო ხასიათისა უნდა იყოს და კონკურსზე წარდგენილ იქნას კლავირისა და პარტიტურის სახით.

კონკურსი დახურული იქნება, ამიტომ ყოველმა მონაწილემ თავისი ნაწარმოები კომპოზიტორთა კავშირს უნდა გადასცეს დახურულ კონვერტში დევიზის აღნიშვნით.

კონკურსში გამარჯვებული სიმღერების ავტორებისათვის გამოყოფილია ერთი პირველი პრემია (1.000 მანეთი), ერთი მეორე პრემია (700 მანეთი) და სამი მესამე პრემია (თითო 400 მანეთი).

საუკეთესო მარშების ავტორებს კი მიეცემათ ერთი პირველი პრემია (2.000 მან.) და ერთი მეორე პრემია (1.000 მან.).

კონკურსზე ნაწარმოებების წარდგენა ივნისის დამლევამდე შეიძლება.

ბ ა ვ შ ვ ი

რევაზ მარგიანი

მე მახსოვს, იდგა თებერვლის დარი,
როცა მეც თქვენთან ვიყავი, ძმებო,
და ცაში ჭოლავა თოვლიან ქარის
იყო მკაცრი და თან საცენებო.

მე მახსოვს, ჩვენნმა შეტევის ძალამ
როგორ დალეწა სანგრებში მტრები
და შეაერთა ცოტახნის წინად
გამწყდარი დიდი სამშობლოს გზები.

ჩვენ ყველას გვახსოვს ის ერთი წამი,
თოვლზე რომ ეგდო დედა და შვილი
როცა ჰკრეპოდა ჩრდილები ღამის
და გვამხნევებდა საარი დილის.

მე მახსოვს, როგორ შევჩერდით გზაზე
და დავაცქერდით მათ მოკრძალებით,
დედას რომ ჰქონდა ცრემლებით სავსე
უკვე ჩამქრალი ლურჯი თვალები.

მზოლოდ ბიჭუნა გაშზდარ ხელებით
ჩაეკრა მაგრა და სასოებით
და თოვლზე კრთოდნენ საშინელებად
სისხლის წვეთების ყაყაჩოები.

დიდხა დუმილი და შერდა ჯარი
და წამით შესწყდა ყეფინის ხმები,
დასავლეთისკენ დაიძრა ქარი
და ნაკვალევი წაშალა მგლების.

ჩვენ ყველას იმ წუთს გვესმოდა ჩქარი
პატარა გულის სუნთქვა და ფეთქვა.
კვლავ გუგუნებდა სამშობლოს ჯარი
და ვერაფერი გულსაც ვერ ეთქვა.

მე მახსოვს მზოლოდ, ჩვენს შორის ერთი
როგორ წავიდა ბავშვისკენ ფრთხილად
და მოაცილა ბიჭუნა მკერდით
დედას და მკლავზე გადაიწვინა;

როგორ აჰკეცა ფარაჯის კალთა,
ხელი მოხვია ბავშვს სასოებით,
ქარი ჰქროდა და შარაზე სჩანდა
სისხლის წვეთების ყაყაჩოები.

მე იმ წუთს ისევ მესმოდა ჩქარი
სუნთქვა და ფეთქვა პატარა მკერდის
დასავლეთისკენ მიჰქროდა ქარი
და მე შემშურდა მებრძოლის ბედი.

ის გულკეთილი და ულმობელი
იდგა და თრთოდა კალთა ფარაჯის,
ბავშვისთვის მამაც და ახლობელი
თავისუფლების მტკიცე დარაჯი.

თბილისი

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციას

ამხ. ვ. გრიგორიანს

მხურვალედ მივესალმები საქართველოს ბოლშევიკთა მებრძოლ ორგანოს—გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ მიხი 20 წლისთავის დღეს.

ვუსურვებ „ზარია ვოსტოკას“ ყველა მუშაკს მომავალშიც წარმატებით განეგრძოთ სახელოვანი ტრადიციები საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვისა, რომლის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი იყო ჩვენი ბელადი და მასწავლებელი **ი. ბ. სტალინი,** და ყოველთვის ყოფილიყვნენ ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა პირველ რიგებში.

ლავრენტი ბერია

19 ივნისი 1942 წელი
მოსკოვი.

ბოლშევიკური მებრძოლი გაზეთი „ზარია ვოსტოკა“

ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკების მებრძოლი გაზეთის „ზარია ვოსტოკას“ პირველი ნომერი გამოვიდა 1922 წლის 20 ივნისს. მას შემდეგ „ზარია ვოსტოკას“ მაღლა და მტკიცედ უჭირავს **მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის** დიადი ძლევამოსილი დროშა.

„ზარია ვოსტოკა“ წმინდად ინახავს ბოლშევიკური პრესის სახელოვან ტრადიციებს, რომლებსაც საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე საფუძველი ჩაუყარა დიდმა **სტალინმა.**

ბოლშევიკური პრესის ლენინურ-სტალინური ტრადიციების ერთგულმა „ზარია ვოსტოკამ“ დიდი როლი შეასრულა საქართველოსა და ამიერ-კავკასიის საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

„ზარია ვოსტოკას“ კარგად იცნობენ და უყვართ არა მარტო საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მშრომელ მასებს, არამედ ის შახლობელი და ნაცნობია მთელ ჩვენს დიად საბჭოთა კავშირში. „ზარია ვოსტოკას“ მუშაობის მრავალი მხარე სანიმუშო და მეტად საინტერესოა ბევრი ჩვენი გაზეთისათვის.

„ზარია ვოსტოკამ“ თავიდანვე მაღლა დაიჭირა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის დროშა და დაიწყო მტკიცე ბრძოლა ნაციონალ-უკლონიზმის, ქართველი მენშევიკების, სომეხი დაშნაკებისა და აზერბეიჯანელი მუსავატელების წინააღმდეგ.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის ისტორიული დადგენილება, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შემდგომი აყვავებისა და წინსვლის საქმეში, „ზარია ვოსტოკამ“ თავის სამოქმედო პროგრამად გაიხადა. ამ დადგენილების საფუძველზე გაზეთმა უფრო მეტად გააძლიერა მშრომელთა მასებში პოლიტიკური, ბოლშევიკური მუშაობა.

განსაკუთრებით გარდაიქმნა „ზარია ვოსტოკას“ მუშაობა მას შემდეგ, რაც საქართველოსა და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს სათავეში ჩაუდგა დიდი **სტალინის** ერთგული მოწაფე ამხანაგი **ლავრენტი ბერია.** ამ დროიდან გაზეთი უფრო მებრძოლი, ინიციატივიანი და ოპერატიული გახდა.

სოციალისტური მშენებლობის, სტალინური ხუთწლედების წლებში „ზარია ვოსტოკამ“ ბევრჯერ გვიჩვენა ძვირფასი ინიციატივა, მან თვალსაჩინო როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის შემდგომი განვითარების საქმეში.

დიდი მუშაობა ჩაატარა „ზარია ვოსტოკამ“ ამხანაგ **ლ. ბერიას** ისტორიული ნაშრომის საფუძველზე — „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. გაზეთი სისტემატიურად აქვეყნებდა ძველი მუშების მოგონებებს რევოლუციური ბრძოლების ისტორიიდან. ამ მოგონებებისაგან შედგენილ და გამოცემულ იქნა მეტად მნიშვნელოვანი კრებული: „ძველი მუშების ნაამბობი დიდ სტალინზე“. ეს კრებული შემდეგში უცხოურ ენებზედაც დაიბეჭდა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 14 ნოემბრის დადგენილებისა და „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოსვლის შემდეგ „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებზე სისტემატიურად შუქდება ბოლშევიკების ისტორიის, პარტიული ცხოვრების, აგიტაცია-პროპაგანდის საკითხები.

„ზარია ვოსტოკას“ მაღლა უჭირავს ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშა. მას ეკუთვნის ძვირფასი ინიციატივა—ორი ძმამე რესპუბლიკის უკრაინისა და საქართველოს შრომელთა სოციალისტური შეჯიბრება.

„ზარია ვოსტოკა“ მტკიცედ და დაუღალავად იბრძოდა ხალხის მტრების, პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტების — ტროცკისტების, ზინოვიეველების, ბუხარინელების **და სხვა** გარეწრების წინააღმდეგ.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში „ზარია ვოსტოკამ“ მთელი თავისი მუშაობა გარდაქმნა ვერაგ მტერზე გამარჯვების ამოცანების შესაბამისად. „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!“—ეს გახდა გაზეთის მუშაობის წამყვან ლოზუნგად. „ზარია ვოსტოკა“ ფართოდ ასახავს სახელოვან წითელ მებრძოლთა ცხოვრებასა და გმირობას სამშობლოს დასაცავად, უჩვენებს შრომის ფრონტის სახელოვან ადამიანებს, ომიანობის დროის სტახანოველებს, ათავსებს მასალებს სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს საწარმოებსა და საკოლმეურნეო მინდვრებში.

„ზარია ვოსტოკა“ ფართოდ უხებს კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის, მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებს. მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები გამოქვეყნდა მის ფურცლებზე. გაზეთმა მოათავსა საქართველოს, სომხეთის, აზერბეიჯანის ცნობილი მწერლების შემოქმედების მრავალი ნიმუში. გაზეთი დიდ ადგილს უთმობს ლიტერატურისა და ხელოვნების აქტუალურ საკითხებს, ათავსებს მის შესახებ სტატიებსა და მიმოხილვებს.

სამამულო ომის დღეებში თუ რამ მნიშვნელოვანი დასწერეს ქართველმა მწერლებმა, მათი უმრავლესობა გადაითარგმნა და გამოქვეყნდა „ზარია ვოსტოკაში“. გაზეთი ყოველთვის დიდ დახმარებას უწევს ლიტერატურისა და ხელოვნების ფრონტის მუშაკებს, რაც განსაკუთრებით დასაფასებელია.

„ზარია ვოსტოკას“ ოცი წლის მუშაობა მეტად დიდი და სასახელოა. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალურმა ორგანომ — „პრავდამ“ წინათაც და განსაკუთრებით საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მაღალი შეფასება მისცა „ზარია ვოსტოკას“ მუშაობას.

ქართული საბჭოთა მწერლობა და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია მხურვალედ ულოცავენ „ზარია ვოსტოკას“ არსებობის ოცი წლისთავს და უსურვებენ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის დღეებში ახალ-ახალ წარმატებას ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის, გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** ისტორიულ მითითებათა განუხრელად განხორციელების საქმეში.

ახალი წიგნი ქართულ ხელოვნებაზე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა ქართული ხელოვნების ისტორიის სექტორის შრომების პირველი ტომი „ქართული ხელოვნება“, რომელშიაც მოთავსებულია აკადემიკოს გიორგი ჩუბინიშვილის, ვახტანგ ბერიძის, ლ. მუსხელიშვილის, რევნე შმერლინგისა და ლ. რჩეულიშვილის შრომები.

წიგნი ილუსტრირებულია და ღირს 28 მანეთი.

პოლკოვნიკის აზრები

გი დე მოპასანი

— უნდა გამოვტყდე, — სთქვა პოლკოვნიკმა ლაპორტმა, — თუმცა მოხუცი ვარ ნიკრისის ქარი მაწუხებს და ფეხები სვეტებივით მაქვს გაშეშებული, მაგრამ თუ ქალი, ცხადია ლამაზი ქალი, მიბრძანებს, ნემსის ყუნწში გაძვერიო, მე ვფიქრობ, შიგ ისე გავხტები, როგორც რგოლში ტაკიმასხარა. ასე მოვკვდები, ეს ჩემს სისხლშია. მე ქალების ძველი მოყვარული ვარ, ძველ სკოლას ვეკუთვნი. ქალის დანახვა, ლამაზი ქალისა, თავით ფეხებამდე ამათრთოლებს ხოლმე. ასეა.

ბატონებო, ჩვენ ფრანგები, ყველანი ცოტად თუ ბევრად ერთმანეთს ვგავართ. რაც უნდა მოხდეს, რაანდებად დავრჩებით, სიყვარულის და შემთხვევის რაინდებად, თუმცა ღმერთი, რომლის ქეშაკებადაც ჩვენ ჭეშმარიტად ვიყავით, გაუქმეს.

როგორც იცით, ქალს ჩვენი გულიდან ვერავინ ამოაგდებს. ის იქაა და იქვე დარჩება, გვიყვარს და გვეყვარება. ქალისათვის ყოველგვარ სიშმაგეს ჩავიდენთ, სანამ საფრანგეთი ევროპის რუკაზე იქნება. თუ საფრანგეთს გაიქრობენ, ჩვენ მაშინაც კი ფრანგებად დავრჩებით.

ქალის წინაშე, ლამაზი ქალისა, თავს ყოველისშემძლედ ვგრძნობ. დალახვროს ღმერთმა! როდესაც ჩემს არსებაში ქალის შემოხედვა იბრეშა, წყეული შემოხედვა, და ძარღვებს ცეცხლად ედება, მე სურვილი მიპყრობს, — აი ვიცი, რა სურვილი, — ვიბრძოლო, ვიომო, ავეჯიდ დავლეწო, დავანახვო, რომ ყველაზე ძლიერი, პატიოსანი, გულადი და ერთგული ვარ.

მაგრამ მარტო მე არა ვარ ასეთი, არა, სწორედ მთელი ჩვენი ჯარი მე მგავს, ფიცავ. ჩვენ ქვეითა ჯარისკაცები თუ გენერლები, ყველას წინ ვუსწრებთ, არავის არ ჩამოვრჩებით, თუ საქმე ქალს, ცხადია ლამაზ ქალს ეხება. გაიხსენეთ, რა გმირობა ჩაგვადენინა ოდესღაც ანა დ'არკმა. მომისმინეთ, სანაძლეოს ვდებ. მაშინ როდესაც მარშალი მაკ-მაგონი დიეპრა, სედანის წინადღეს ჯარის მთავარსარდლობა ქალს, ლამაზ ქალს რომ ეკისრა, ჩვენ პრუსიელთა ხაზებს გადავთელავდით და არაყს მათ ზარბაზნებთან გადავკრავდით.

პარიზისათვის საჭირო იყო არა ტროშიუ[1]), არამედ წმინდა ჟენევიევი [2]).

მაგონდება ომის ერთი ეპიზოდი, სწორედ იმის დამამტკიცებელი, რომ ქალის წინაშე ჩვენ ყოველისშემძლენი ვართ.

მაშინ მე კაპიტანი ვიყავი, უბრალო კაპიტანი, და მზვერავთა ნაწილს ვმეთაურობდი, რომელიც, პრუსიელების მიერ დაკავებულ მიდამოებში მოქცეული, ბრძოლით იხევდა უკან. მტერი არ გვასვენებდა. ჩვენ ალყაშემორტყმულნი, დაქანცულნი, გამოტვინებულნი ვიყავით, სისუსტისა და შიმშილისაგან სული გეხდებოდა.

გათენებამდე ბარ-სიუ-ტენამდე უნდა მიგვეღწია, თორემ ცეცხლს წაგვიკიდებდნენ, ამოგვხოცავდნენ, ამოგვეკლტნენ. როგორ გადავრჩით? არაფერი ვიცი. ღამის გვნმაგლობაში მშიერებს თორმეტი ლიე[3]) უნდა გაგვეკლო, თორმეტი ლიე თოვლში და თოვლის ქვეშ! ვფიქრობდი:

— გათავდა, ვერასოდეს ჩემი საბრალო ბიჭები სამშვიდობოს ვერ გავლენ.

ვუშინს აქეთ პირში ლუკმა არ ჩაუდვიათ. კარაპანში ვიყავით დამალულნი, ერთმანეთს მიხუტებულნი, რომ არ გავყინულიყავით. არც ლაპარაკი, არც მოძრაობა აღარ შეგვეძლო. ჩაძინებისთანავე გვეღვიძებდა, როგორც მოქანცულ ადამიანს მოსდის ხოლმე.

ხუთ საათზე უკვე ჩამობნელდა. თოვლის გამო მკრთალი ღამე იყო. ჩემს ჯარისკაცებს ვანჯღრევდი. ბევრს წასვლა აღარ უნდოდა, არც მოძრაობა, არც ფეხზე დგომა აღარ შეეძლოთ. დაღლისაგან, სიცივისაგან გახევებულნი იყვნენ.

ჩვენს წინ ველი, სულ მოტიტვლებული ველი იყო გაშლილი, სადაც განუწყვეტლივ თოვდა. თოვლი ფარდასავით ეშვებოდა, მიწას ბარდნიდა, გაშეშებულ, მძიმე ნაბდად ეხურებოდა.

---

[1]) გენერალი ტროშიუ—პარიზის გუბერნატორი, რომელმაც 1871 წელს პარიზის დაცვის მოღალატური გეგმა შეადგინა.

[2]) წმინდა ჟენევიევი პარიზის მფარველად ითვლებოდა. არის გადმოცემა: ატილას თავდასხმის დროს გალიიზე ჟენევიევი შეპირდა პარიზის (მაშინ ლუტეციის) მცხოვრებთ, რომ ატილა ქალაქს შეიბრალებსო.

[3]) ლიე—ფრანგულად მანძილის საზომი—ოთხიდან ხუთ კილომეტრამდე.

იტყოდით ქვეყნის აღსასრული დადგაო.

— გზას გავუდგეთ, ყმაწვილებო!

ჯარისკაცები შესცქეროდნენ თეთრ მტვერს, მაღლიდან რომ ცვივოდა, და თითქოს ფიქრობდნენ: ჩვენს დასახოცად თოვლი აქაც ქმარაო.

მაშინ რევოლვერი გავისროლე.

— ვინც სიმხდალეს გამოიჩენს, აქვე დავწვავ.

ფეხებში ძალაგამოლეულები სულ ნელა, ლასლასით წავიდნენ.

წინ, სამასი მეტრის მანძილზე, ოთხი ჯარისკაცი გავგზავნე დასაზვერავად. სხვები უკან მივყევით. არეულ-დარეულად, გროვად, რადგან დაქანცულები ფეხს ძლივს ვადგამდით. ბრძანება გავეცი, ჩამორჩენილი ჯარისკაცები აეჩქარებინათ ზურგში... ხიშტის ჩხვლეტით...

თოვლს თითქოს ჩვენი ცოცხლად დამარხვა განუზრახავსო. ქუდებს, ფარაჯებს ათოვდა, ზედ ეყინებოდა და მოჩვენებებად, ილაჯგაწყვეტილ დახოცილ ჯარისკაცთა რაღაც ლანდებად გვაქცევდა.

ჩემთვის ვამბობდი: „აქ სასწაული თუ გადაგვარჩენს“.

ზოგჯერ რამდენიმე წუთით შეჩერდებოდით, რადგან ბევრი ჯარისკაცი რჩებოდა უკან. მაშინ მხოლოდ თოვლის ყრუ ხრაშიხრაში და თოვლის ფანტელების ერთმანეთში არეკ-დარეკვის შეუმჩნეველი ხმა ისმოდა.

რამდენიმე ჯარისკაცი მიღასლასებდა, სხვები გაშეშებულნი იყვნენ.

კვლავ ბრძანებას ვაძლევდი ადგილიდან დაძრულიყვნენ.

ჯარისკაცები თოფებს მხარზე გაიდებდნენ და უღონო ნაბიჯით გზას განაგრძობდნენ.

უცბად ზვავრავებმა დაიხიეს. რაღაცამ შეაშფოთათ. წინიდან ლაპარაკი მოესმათ. ამ ბის გასაგებად ექვსი ჯარისკაცი და სერჟანტი გავგზავნე. დავუცადე.

ანაზდად წვრილმა ხმამ, ქალის ხმამ თოკლით დამძიმებული სიჩუმე დასერა. რამდენიმე წუთში ორი ტყვე მოიყვანეს: მოხუცი კაცი და ახალგაზრდა ქალიშვილი.

ისინი ხმადაბლა დაკითხე. მთვრალ პრუსიელებს გამოქცეოდნენ, რომლებსაც ამ საღამოს მათი სახლი დაეკავებინათ. მამას შეშინებოდა, ქალიშვილს არაფერი ავნონო, და ღამით ისე გამოპარულან, რომ მოსამსახურეებიც კი არ გაუფრთხილებიათ.

მაშინვე ვიცანი, რომ ბურჟუები იყვნენ, ბურჟუებზე მაღლა მდგომნიც.

— ჩვენ გამოგვყვეთო,—ვუთხარი მათ.

განვაგრძეთ წინსვლა, მოხუცი ამ მიდამოს იცნობდა და გზას გვიკვლევდა.

აღარ თოვდა. ვარსკვლავები გამოჩნდა. სიცივე აუტანელი გახდა. მამის მკლავზე ჩამაკიდებული ახალგაზრდა ქალიშვილი ლასლასით მოდიოდა, გატანჯული ნაბიჯით. მან მრავალჯერ ჩაიბუტბუტა:

— ფეხებს ვეღარა ვგრძნობ.

მე ქალიშვილზე მეტად ვიტანჯებოდი, როცა ვხედავდი, ეს პატარა ქალი თოვლში ფეხებს როგორ მიათრევდა.

უცბად შესდგა.

— მამა,—მიმართა,—ისე დავიქანცე, რომ ვეღარსად წამოვალ.

მოხუცმა შვილის ხელში აყვანა მოინდომა. მაგრამ ადგილიდან ვერ დასძრა. ქალმა თოკლში ჩაიკეცა, ღრმა ოხვრა ამოოხდა.

ჯარისკაცები გარშემო შემოხვევნენ, მე კი ერთ ადგილას ვტოკავდი, არ ვიცოდი სწორედ, რა მექნა, ვერც ამ მოხუცისა და გოგონას ასე მიტოვება გადამწყვეტა.

მოულოდნელად ერთმა ჯარისკაცმა, პარიზელმა, რომელსაც მეტ სახელად „პრაქტიკოსი“ შეარქვეს, სთქვა:

— აბა, ამხანაგებო, ეს ქალიშვილი უნდა წავიყვანოთ, ან ჩვენ ფრანგები არა ვყოფილვართ!

მახსოვს, სიამოვნებისაგან შევიგინე კიდეც.

— დალახვროს ღმერთმა! ეგ ძალიან კარგია, კარგი, ბიჭებო, მეც მივიღებ მონაწილეობას.

სიბნელეში მარცხნივ გაურკვევლად მოსჩანდნენ პატარა ტყეში ხეები. რამდენიმე ჯარისკაცი გამოგვეყო. მალე ტოტებისაგან გაკეთებული საკაცე მოიტანეს.

— ფარაჯას ვინ გვათხოვებს?—წამოიძახა პრაქტიკოსმა, — მშვენიერი ქალიშვილისათვის გვჭირდება, ძმებო!

და ათი ფარაჯა დავარდა ჯარისკაცის წინ. ერთ წამში ახალგაზრდა ქალიშვილი ამ თბილ ტანისამოსში ჩაეწვინეს და ექესმა კაცმა საკაცე მხრებზე გავიდეთ. მე თავთან დავდექი, მარჯვნივ და, ვფიცავ, ჩემი ტვირთით კმაყოფილი ვიყავი.

ჩვენ უფრო ცოცხლად და მხიარულად გავსწიეთ, თითქოს ღვინო გადაგვეკრას, ხუმრობაც კი გავიგონე. ხედავთ, ერთი ქალი იყო საკმარისი, რომ ფრანგები აღეგზნო.

ჯარისკაცთა მწკრივები თითქოს გამოსწორდნენ, აღფრთოვანდნენ, თითქოს სითბო იგრძნეს მათ. ერთი მოხუცი, თავისუფალი მსროლელი, საკაცეს მოჰყვებოდა. თავის ჯერს უცდიდა, პირველივე დაღლილი ამხანაგი რომ შეეცვალა. მან მეზობელს ჩაულაპარაკა საკმაოდ ხმამაღლა და მეც გავიგონე:

— მე ახალგაზრდა არა ვარ, ეჰ, მაგრამ, ეს ოხერ-მუდრეგი სქესი მაინც არის რაღაც, რაც გულ-ღვიძლში გაგკრავს ხოლმე.

დილის სამ საათამდე თითქმის დაუსვენებლად მივდიოდით, მერე უეცრად მზვერავებმა კვლავ დაიხიეს. მთელი ნაწილი თოვლში ჩაწვა სწრაფად, ჩრდილივით მიწას გაეკრა.

ჩუმად ბრძანებები გავეცი. ჩემს უკან ბატარიების ხმელი და ლითონისებური ტკაცანი გაისმა.

იქ, ველის შუაადგილას, რაღაც უცნაური მოძრაობდა. დიდი მხეცი გეგონებოდათ. მორბოდა, გველივით გრძელდებოდა, ან გუნდად იკეროდა. მერე უეცრად გაიქროლებდა ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ, შედგებოდა, კვლავ გაინავარდებდა.

უეცრად ეს მოხეტიალე რაღაც მოგვიახლოვდა. დავინახეთ, გრძელი ჩოართით ერთი მეორის უკან მოჰქროდა თორმეტი გზადაბნეული ცხენისანი, ისინი გზის გაკვლევას ცდილობდნენ.

ისე ახლოს მოვიდნენ, რომ კარგად მესმოდა ცხენების ხრინწიანი სუნთქვა, იარაღის ჩხარუნი და უნაგირების ჭრაჭუნი.

ვუბრძანე ჯარისკაცებს:

— ცეცხლი!

და ორმოცდაათმა თოფმა ღამის დუმილი დაარღვია. ოთხი თუ ხუთი თოფის სროლა კიდევ გაისმა. მერე, ერთი თოფი კიდევ გავარდა. როდესაც აფეთქებული დენთისაგან დაყენებული კვამლი გაიფანტა, დავინახეთ, თორმეტი ჯარისკაცი და ცხრა ცხენი დაცემულიყო, სამი ცხენი დაოთხებული, დამფრთხალი გარბოდა. ერთი მათგანი უზანგზე ეჭიით ჩამოკიდებული, ცოფიანივით მოხტუნავე გვამს მიათრევდა.

ჩემს უკან ჯარისკაცი იცინოდა, საშინელი სიცილით იცინოდა. მეორემ სთქვა:

— რამდენი ქალი დაქვრივდა!

— იქნებ ის ცოლიანი არ იყო. მესამემ დაუმატა:

— დაქვრივებს დიდი დრო არა სჭირდება. ქალიშვილმა საკაციდან თავი წამოსწია და იკითხა:

— რა ამბავია? ბრძოლაა?

მე ვუპასუხე:

— არაფერია, ქალიშვილო. ჩვენ თორმეტი გერმანელი გავამგზავრეთ!

ქალიშვილმა რაღაც ჩაიბუტბუტა...

შესცივნოდა და ისევ ფარაჯის ქვეშ ეკიბალა.

გზას გაუდექით. დიდხანს მივდიოდით.

ბოლოს, ცა გაფითრდა. თოვლი ნათელი გახდა, სხივმფენი, მბრწყინავი. აღმოსავლეთი ვარდისფრად შეიღება.

შორეული ხმა მოისმა:

— ვინ მოდის?

მთელი რაზმი შეჩერდა. დავწინაურდი, რათა ჩვენი ვინაობა გამეცნო ჩვენს წინ მდგომთათვის.

ფრანგების ხაზებს მივაღწიეთ.

ჩემი ჯარისკაცები პოსტის წინ მიდიოდნენ. ცხენზე მჯდომმა მეთაურმა, რომელსაც ისინეს იყო მდგომარეობა გავაცანი, საკაცე რომ ჩაატარეს, იკითხა:

— რა გაქვთ შიგ?

მაშინვე პატარა, ქერა სახე გამოჩნდა, თმაგაწეწილი, მოღიმარი და უპასუხა:

— მე ვარ, ბატონო.

ჯარისკაცებს სიცილი აუტყდათ და მათ გულს სიხარული მოეფინა.

მაშინ პრაქტიკოსმა, რომელიც საკაცის გვერდით მიდიოდა, კეპი ააწია და დაიყვირა:

— გაუმარჯოს საფრანგეთს!

არ ვიცი რატომ, ვიგრძენი, რომ ძალზე ავდელდი. იმდენად სასიამოვნო და დარდიმანდული იყო ყოველივე ეს.

მე მეგონა, რომ ჩვენ ისინის იყო ქვეყანა გადავარჩინეთ, ისეთი რამ გავაკეთეთ, რის გაკეთებასაც სხვა ვერავინ შესძლებდა, გავაკეთეთ რაღაც უბრალო და ჭეშმარიტად პატრიოტული.

ამ პატარა ქალს, დამიჯერეთ, ვერასოდეს ვერ დავივიწყებ. მე რომ მკითხონ, დოლი და საყვირი რით უნდა შეიცვალოსო, წინადადებას შევიტანდი, ლამაზი ქალიშვილით შეეცვალათ ისინი ყველა რაზმში. ეს მარსელიეზის დაკვრასაც აჯობებდა. დალახვროს ღმერთმა!

სისხლიანი ჭა

სანდრო ეული

ტყე სდუმდა, თითქოს გარინდებულიყო. ფრთოსანთა ჟრიამულიც აღარ ისმის.

ტყის მიუვალ ადგილას, მიწურში, ცეცხლის პირად, იარაღში ჩამჯდარ ბრგე ვაჟკაცის წინ იდგა თმაშეკრეჭილი გოგონა, რომელსაც ბიჭურად ეცვა.

— მაშ შენა ხარ ლიზა გულენკო? ნიკიტას შვილიშვილი და სახელოვანი პარტიზანის პეტროს ასული? უეჭველია, მედგარი ქალი იქნები. ეჰ, რა კაცი დავკარგეთ! პეტრო გულენკოს ბრწყინვალე სახელი დაუვიწყარი იქნება ჩვენს შორის. მჯერა, რომ შენ, მისი ასული, არ შეარცხვენ მამის სახელს! — ეუბნებოდა გოგონას პარტიზანთა მეთაური და თან რაღაც ქაღალდს ათვალიერებდა.

ღამის მორიგე პარტიზანებიც იქვე იდგნენ და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ ქალიშვილს.

— შენ ამბობ, რომ ეს ბრძანება გერმანელებმა თქვენი სოფლის ჭასთან გაკრეს? — შეეკითხა მეთაური ლიზას.

— დიაღ, ამხანაგო მეთაურო, სწორედ ეგ ბრძანება იყო გაკრული, — უპასუხა მან.

— საზიზღრები! — წამოიძახა მეთაურმა და კვლავ მიმართა გოგონას: — გვიამბე, რა მოხდა დღეს თქვენს სოფელში, გვიამბე დაწვრილებით.

ყველამ თვალები გოგონას მიაპყრო. ლიზას მოუთმენლობა დაეტყო:

— დაგვიანდება, ამხანაგო მეთაურო, აკი გითხარით, სოფელს დიდი განსაცდელი მოელის, საცაა გათენდება...

— მოვასწრებთ! ყველაფერი უნდა გავიგოთ! გეუბნები, დაწვრილებით გვიამბე, რა მოხდა.

გოგონა ჯირკვზე ჩამოჯდა. მცირე პაუზის შემდეგ დაიწყო:

— ამ დილით ძალიან ადრე წამოვდექი. ბაბუა ნიკიტას ჯერ კიდევ ეძინა. ვედროს ხელი დავტაცე და წყლის მოსატანად გავეშურე. წყალი მეორე სოფლიდან უნდა მომეტანა.

— მოიცა, ამ ბრძანების თანახმად, არა? — შეაწყვეტინა მეთაურმა და ბრძანება წაიკითხა:

„ამ ჭიდან წყლით სარგებლობენ მხოლოდ გერმანელები. მცხოვრებლებმა თავიანთთვის წყალი მეზობელ სოფლიდან უნდა ზიდონ. ვინც ამ ბრძანებას დაარღვევს, სიკვდილით დაისჯება“.

— დიაღ, ამხანაგო მეთაურო, სწორედ ამ ბრძანების თანახმად,—მიუგო ლიზამ და განაგრძო: — ჩვენი სოფლის ჭასთან უნდა გამეევლო, რადგან გზა იქით მიდიოდა, და აი როცა მიეუახლოვდი ამ ჭას, გერმანელმა ჯარისკაცმა გზა გადამიღობა. რაღაც უცნაურად ჩიფჩიფებდა და ჭაზე მანიშნებდა. ჯერ ვერაფერი გავიგე, მაგრამ მალე მიეხვდი: მეუბნებოდა — ამოიღე წყალი და წაიღეო. ტუჩებზე ხელის გულიც მიიფარა—ნუ გეშინიან, არავის ვეტყვიო. ცოტა შევყოყმანდი, მაგრამ მაინც მივავარდი ჭას წყლის ამოსაღებად. ჭას მოაჯირი არა ჰქონდა შემოვლებული, ამიტომ თოკიან ვედროს დავსტაცე ხელი და გარა ხალისს შესძენდა ჯარისკაცს, რომ ასეთი რამ ჰყოლოდა—ცოცხალი მადონა პოლკოვნიკის გვერდით.

ბატონი ლაპორტი რამდენიმე წამით დადუმდა. მერე თავის ქნევით დამარწმუნებლად განაგრძო:

— ასეა თუ ისე, ჩვენ, ფრანგებს, ქალები ძალიან გვიყვარს.

თარგმანი ფრანგულიდან
ირაკლი ინაიშვილისა

ნიგნები და ბომბები

1940 წლის 29 დეკემბერს, ... მით, როცა ლონდონის ... ცენტრს, ინგლისის ... ველეს ისტორიულ ... ... სხნენ ფაშისტური გერმანიის თვითმფრინავები, ხანძარში დაიღუპა ექვსი მილიონი წიგნი.

როგორი გავლენა მოახდინა ომმა წიგნის ვაჭრობის საქმეზე? ამ კითხვას ყველაზე უკეთესად შემდეგი ფაქტი უპასუხებს: მიუხედავად იმისა, რომ 29 დეკემბრის ღამეს ინგლისის საგამომცემლო ფირმების თითქმის ნახევარი ხანძარმა შთანთქა, ორი კვირის შემდეგ ყველა ეს ფირმა განაგრძობდა მუშაობას სხვა შენობებში.

ფაშისტმა სვავებმა ომის დაწყებიდან ინგლისში გაანადგურეს ათ მილიონამდე წიგნი. მაგრამ ცეცხლში დაღუპულ წიგნების უმრავლესობა მოკლე ხანში კვლავ გამოსცეს. მაგალითად, ლონგმენის საგამომცემლო ფირმამ 1941 წლის იანვრიდან ოქტომბრამდე მილიონ ნახევარი წიგნის გამოცემა მოასწრო.

ინგლისის საგამომცემლო საქმეში ჩაბმულია 6.653 კაცი, ინგლისში სამასი საგამომცემლო ორგანიზაციაა, მათ შორის მხოლოდ ორმოცია მსხვილი გამომცემლობა. მოსალოდნელი იყო, რომ ომის განმავლობაში ეს დარგი სრულიად გაქრებოდა. მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. ინგლისის მთავრობამ სცნო წიგნის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობა და გაანთავისუფლა საგამომცემლო ორგანიზაციები და წიგნის ვაჭრები სავაჭრო გადასახადებისაგან.

მიუხედავად ომის დროის სიძნელეებისა, ინგლისის წიგნების ექსპორტი არა თუ არ შემცირდა, გადიდდა კიდეც, ამასთან გადიდდა ამერიკის შეერთებულ შტატებში გასაღების ხარჯზე. რა თქმა უნდა, ეს სიძნელეები გავლენას ახდენენ ახალი წიგნის გამოცემის საქმეზე. მაგალითად, საგამომცემლო პროდუქცია 1940 წელს, წინა წელთან შედარებით, 30 პროცენტით შემცირდა, თუმცა იგი მაინც ორჯერ აღემატებოდა 1917 წლის წიგნის პროდუქციას.

ვინ მოიპარა მიკენის კოლექციას?

ათინის მუზეუმიდან, მას შემდეგ, რაც იგი გერმანელ დამპყრობთა ხელში გადავიდა, დაიკარგა მიკენის სიძველეთა ძვირფასი კოლექცია. ქალაქის გერმანელი გუბერნატორი ძალზე განაწყენდა, როცა მათმა ბერძენმა მაჩანჩალებმა ძოკრძალებით გამოსთქვეს აზრი, რომ ამ კოლექციის დაკარგვაში ბრალი შეიძლება გერმანიის საოკუპაციო არმიის ჯარისკაცებს მიუძღოდეთო. როგორც აღგილობრივი პრესა იუწყებოდა დიდი ჩხრეკა და ძიება მოუხდენიათ, მაგრამ კოლექციის კვალისთვის ვერ მიუგნიათ.

ბოლოს ეს მიუწვდომელი კრიმინალური ამოცანა ახსნა ათინის ყოფილმა ქალაქის თავმა, რომელიც ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებშია. „მე ვიცი, ვინ მოიპარაო კოლექცია, —განუცხადა მან რეპორტიორებს:— მე თვითონ ვუჩვენე ქურდს ეს კოლექცია, როცა იგი ათინაში ჩამოვიდა. ძალზე აღფრთოვანდა ძვირფასი ნივთებით და მუზეუმის დათვალიერებისას რამდენჯერმე დაუბრუნდა მიკენის დარბაზს. „ასე ძალიან მოგწონთ ეს კოლექცია?“—შევეკითხე მე: — მეტად ბევრს მივცემდი, ის რომ ჩემს ბინაზე გადამატანინა,—მიპასუხა მან—ის ხომ მილიონები ღირს“.

რეპორტიორების თხოვნაზე დაესახელებინა საოკაცრი ქურდის ვინაობა, ათინის ქალაქის თავმა უპასუხა:

— დიდის სიამოვნებით. ეს ქურდი გერმან გერინგია.

აღსასრულის დღე

ლადო ავალიანი

დარბაზში შევიდნენ ოფიცერი და ქალაქის ბურგომისტრად დილით დანიშნული ტიხონ გადიუკოვი.

გადიუკოვმა ალმაცერად გადახედა კედელზე გრძელი თოკებით ჩამოკიდებულ სურათებს და სავარძლისაკენ გაემართა. სავარძლის სახელურების წინ თოკი იყო გაბმული, თოკზე ეკიდა ტიკეტი, რომელზედაც მკაფიოდ ეწერა: „გაუფრთხილდით, ხელს ნუ ახლებთ“. ბურგომისტრმა მოწიწებით მიიხმო ოფიცერი, ხმამაღლა წაუკითხა წარწერა და მერე მოკრძალებით სთხოვა სავარძელში ჩამჯდარიყო.

ოფიცერმა სავარძლის სახელურებს ქანაფი მოსწყვიტა, მძიმედ დაჯდა, ფეხი ფეხზე შემოიდო.

ბურგომისტრი ფანჯარასთან მივიდა, გარეთ გაიხედა, ქუჩა დაზვერა. შემდეგ ისევ ოფიცრისაკენ მიბრუნდა, ჭაღარა წვერი ჭუჭყის ნალექისაგან გაშავებული ფრჩხილებით გაიქექა და ნაღვლიანად შენიშნა:

— ყველგან წყვდიადია... წყვდიადი... სიკვდილი!

— რას ამბობთ?—იკითხა ოფიცერმა, — რა არის ახალი?...

— ახალი,—ბურგომისტრმა სათქმელი აღარ დასრულა, მიმოიხედა. მეორე სავარძელი ოფიცრისაკენ მისწია, შანაც კანაფი გასწყვიტა, ჩაჯდა და განაგრძო:—პარტიზანებს ისევ გადაურეხიათ ჩვენი ეშელონი, ოუფეთქებიათ ყუმბარების საწყობი...

— გაუხერტიათ ბაკები და ასი ტონა ნავთი მდინარეში გადაუშვიათ!,—დაუმატა ოფიცერმა და ბრაზით ხელის გული დაჰკრა სავარძლის სახელურს.

— ქალაქში კი... ბოლშევიკების უხილავი ფაფუფები მოქმედებენ... რამდენიც უნდა შეიჭყრო, აწამო, ჩამოახრჩო ან დასახიჩრებული ციხეში დაგდო, დანარჩენებზე ვერ იმოქმედებს...

— იქნებ იცი ისეთი ხერხი, რომ...—გაუცინა ოფიცერმა.

— ეგ ხერხი... გაჟღეტაა,—დაუფიქრებლად მიუგო ტიხონმა.

— მაგ აზრისაა ჩვენი სარდლობაც.

— მე უკვე შევუდექი,—თავმომწონედ შენიშნა ტიხონმა,—დილიდან საღამომდე მხოლოდ ათასი სულის გასტუმრება მოვასწარი.

— არც ეგ არის ჩემთვის ახალი ამბავი!

ზათი საუბარი შესწყვიტა ოთახში შესულმა დაბალმა, ჩია, მუდამ არასასიამოვნოდ ზოლიმარმა უნტერ-ოფიცერმა ფრანცმა. იგი ზეტიჩრული სიფამამით გამოიკიმა მათ წინ და ფ მხედრულად მიესალმა, შემდეგ ტიხონს მიუბრუნდა:

— დღეევანდელ სეირზე უამბობთ, ბურგომისტრო?

— დიაღ, ფრანც!

— მეც იქ გახლდით,—მედიდურად შენიშნა მან,—ჩემი ოცეულის ტყვიამფრქვეველმა ხუთ წუთში მოცელეს ხუთასამდე...

— ეგ რა სთქმელია!—თითქოს ითაკილა ტიხონმა,—ასეთი მცირე მსხვერპლის გაღება...—და ოფიცერს გადახედა.

— ახალ ბრძანებას მოსახლეობის შემცირების შესახებ, ალბათ, ორ-სამ დღეში მიიღებთ შტაბიდან.

ოფიცრის შენიშვნამ ბურგომისტრსაც და უნტერ-ოფიცერსაც სახე გაუბრწყინა.

— ორსამ დღეში,—გაიმეორა უნტერ-ოფიცერმა,—მაგრამ ვისა აქვს ამდენი მოთმინება?!

ადიუტანტმა კარი გააღო და ოთახში შეაღოვიდნენ ფრაუ მარტა და უნტერ-ოფიცერი ფალტერი.

— დაეიგვიანეთ!—იკითხა მისალმების შემდეგ ვალტერმა.

— სჯობს გვიან, ვიდრე...—შენიშნა ტიხონმა.

— უკითესია თავის დროზე!—ბეჯითად წარმოსთქვა ოფიცერმა.

ფრაუ მარტამ ოთახში მიმოიხედა, მზრები შეაქანა.

— ერთ ქალს მაინც რატომ ვერა ვხედავ თქვენს საკრებულოში?

ტიხონმა გაოცებით შეხედა.

— როგორ, განა თქვენ...

— ჩემო ბიჭიკო, მკერდზე მაინც ვერ მატყობ?

ფრაუ მარტას ვებერთელა ძუძუებს, ნაზ ქუთაისელი გამოკვეთილს, ყველანი გაოცებით მიაშტერდნენ.

— ეს ძუძუები კი არა, „დოტებია“.

— მართლაც...

ფრაუ მარტას ფრანცისადმი მიმართულმა შენიშვნამ და გულახდილობამ ყველანი მხიარულ გუნებაზე დააყენა.

— აკი,—მიუბრუნდა ტიხონი ფანჯარასთან ატუხულ მოხუცს,—მეზეუმის მზარეს, მე რომ გთხოვე...

აკიმმა ერთი ნაბიჯით წინ წაიწია და მორჩილად მიახსენა ბურგომისტრს:

— უკვე შევადგინე სია,—პატარა ფურცელი ხელის კანკალით გაუწოდა და დაუმატა:—ხვალისათვის დაგიმზადებთ, ცალკე გადავაწყობ.

— კეთილი... მაინც მიჩვენე, რომელი სურათები ამირჩიე!

აკიმმა სია გამოართვა და პირველი სურათის ავტორის გვარი და ვინაობა მოახსენა. ტიხონმა უძილობისაგან უბეგდაბერილი და სიცივისაგან ცრემლებით გაბრწყინებული ნაცრისფერი თვალებით ლმობიერად დახედა ზემოდან მოხუცს და დარბაზში მყოფთ მიუბრუნდა:

— ბატონებო, სახლის მორთვას უნდა შეუუდგე... ამ ბაღლინჯოს სურათები უკვე ამოერჩია!

აკიმმა მორჩილად გაუღიმა ტიხონს, გუნებაში კი გაიფიქრა: „ამ პირუტყვის წყენინებას იქნებ სულ ემსხვერპლა ეს საგანძური. სჯობს, გავატანო, რაც შედარებით უმნიშვნელოა და ასე დავაწყნარო, დანარჩენები კი შევინარჩუნო... ამასობაში ჩვენებიც...“.

— რაც შეიძლება მეტი ინებეთ, ბურგომისტრო, მე არ შეგეცილებით!—შენიშნა ოფიცერმა.

— ეს სურათი.—განაგრძო აკიმმა,—თქვენი სასადილო ოთახის მშენება იქნება.

— ჰო, ჰო, რა სანახაობაა!—აბრიალდა ტიხონი.

ეს იყო სწეიდერსის „ნატურ მორტის“ „მეთევზის სავაპრის“ ზუსტად გადმოღებული ასლი.

— არც ეს არის ნაკლები,—აკიმმა ხელი გაიშვირა მეორე სურათისაკენ.

— რა ცოცხლად დატხატავს ხილი, გაბლეჩილი. ბრწყინული პორდაპირ ნერწყვის მომგერელია!—შენიშნა მარტამ.

— მე კი მართლა მომგვარა ნერწყვი ამ სანახაობამ!—ფრანცმა ხელი გაიშვირა ბუშეს „ჰერკულესისა და ომფალას“ გემოვნებით შესრულებულ ასლისაკენ.

„ჰერკულესმა და ომფალამ“ ტიხონის ყურადღებაც მიიქცია.

— ეგ სურათიც ხომ ჩემთვისაა გადადებული?

— ეგ... მე შეუფერებლად მივიჩნიე, — ხმის კანკალით მიუგო აკიმმა და ტიხონს თვალი მოარიდა.

— შემცდარხარ, ახლავე შეიტანე სიაში!

უეცრად ფრაუ მარტა გამოექომაგა „ჰერკულესსა და ომფალას“.

— ამ სურათს ხელს ვერავინ ახლებს!

ტიხონი არ მოელოდა მარტას ამგვარ გამოსარჩლებას.

— ფრაუ მარტა, მე არ მესმის... თუ თქვენც მოგიეიდათ ნერწყვი, გადაყლაპეთ და დამშვიდდით. სურათი კი... მე მიმაქვს!

— მიკვირს, ჩემი ბებერო „ჰერკულესო“... მე ვცდილობ, ჩვენი ოფიცრების დროს გასატარებელი სახლი მიმზიდველად მოვრთო, მარტო გოგონები ხომ არა ვართ...

აკიმს გააცია და გაოცებელა. მან დღეს პირველად გაიგო ფრაუ მარტას ნათქვამიდან, რომ მუზეუმში საროსიკოს მიართავდნენ. მოხუცის გულს ცეცხლი მოეკიდა...

— ფრაუ,—მიუბრუნდა ოფიცერი მარტას,— ნუ ატეხენთ გულს. ნუ გადაეღობებით გზაზე ჩვენს ბურგომისტრს.

მარტას სურდა პასუხი გაეცა „ლმობიერი“ ოფიცრისათვის, მაგრამ ტიხონმა დაასწრო:

— ფრაუ, წაიღეთ ყველაფერი, წაიღეთ, რაც გიამბადია! თქვენ შემოგეგლოთ მთელი ქალაქი!

— მალე დარწმუნდებით ჩემს სამართლიანობაში, მადლობასაც მეტყვით, ბურგომისტრო... ისეთი მუუდროება უნდა შეგიქმნათ, რომ, მარტამ ჯერ ოფიცრებს გადახედა. შემდეგ თავისი მაცდური, ცნებისამშლელი მზერა ტიხონზე შეაჩერა,—რომ საკუთარ ოჯახსაც თავი დაანებოთ და აქ დაიდოთ ბინა. ამას მე ვამბობ და შეეასრულება კიდეც! ტიხონ!—თვალით მოიხმო მან ბურგომისტრი,—ქალიშვილების ძალით მოყვანას ხვალდანვე შეეუდგეთ!

— როცა მიბრძანებთ!

ბურგომისტრმა მაჯის საათს დახედა.

— უკვე გვიანია, ბატონებო, სახლში მელოდებიან!

ბურგომისტრი ყველას სათითაოდ გამომშვიდობა და სანამ ოფიცრის ძახილზე ადიუტანტი მიეშველებოდა, ბნელ დერეფანში სწრაფად გაიკრა, კიბეზე ჩარბინა, ავტოში ჩაჯდა და შოფერს მოკლედ მიაძახა: „სახლისაკენ“.

— მეც წავყოლოდი!—ნაღვლიანად შენიშნა მცირე ხნის შემდეგ ფრაუ მარტამ.

— მართლა ჰერკულესი ხომ არა გგონიათ ეგ ქალიანი!

— როგორ ვანდობდით თქვენს თავს! — დაუმატა ფრანცის შენიშვნას ვალტერმა.

ფრაუმ გულიანად გაიცინა:

— მთელი ქალაქი ანდეთ და...

— განა თქვენ ერთ ქალაქზე მეტად არა ჰღირხართ?

— რა კომპლიმენტები გცოდნიათ, ვალტერ! მაშ თუ ა